

შავზნელი ამბები

1905

ქართლში ძალიან გახშირებულია „პოლიტიკურ“ დამნაშავეთა შეპყრობა...ვიზედაც ცოტა რამ ეჭვია, ყველას მიერეკებიან. არც ძევა, არც კვლევა. უნდა ნახოთ თავის თვალით ეს „დამნაშავენი“, რომ კარგად შეიგნოთ დღევანდელი დღის ვითარება: მენახშირე, მეურმე, ჩამოწეწილ-ჩამოგლეჯილი ხალხი, რომელთაც ოდესმე სადმე უთქვამთ გვშიანო, და ამ თქმისათვის დღეს პასუხისგებაში არიან მიცემულნი, როგორც „ბუნტოჩიკები“, როგორც საზოგადოების მავნებელი პირნი. არავითარი ცოდნა იმათ არა აქვთ, გარდა იმისა, რასაცა გრძნობენ, და განა არ მოგეხსენებათ, სიმშვილ-წყურვილ-სიტყვულე და სიცივე ყოველ სულიერ არსებას უსიამოვნებას აგრძნობინებს...

რასაკვირველია, ზემორე აღნიშნულ ჯურის „დამნაშავეთა“ შორის მოჰყვნენ ისეთნიც, რომელთაც გონება საკმაოდ აქვთ განვითარებული და ამ მშვიერ-ტიტველს ხალხს თანაუგრძნობენ, - ებრძვიან, ჰკიცხავენ გამეფებულ შავ ძალებს. ზოგი მათგანი მხოლოდ მწერლობით, გაზეთის საშუალებით ებრძვის იმათ, ჰგმობს ზოგიერთ ადამიანთ დროების შეუფერებელ ქვევისათვის...შეურაცხყოფილნი შურს იძიებენ, დროებაც ხელს უწყობს, მირბიან და საცა ჯერ არს აცხადებენ: „ესა და ეს პირნი არიან ქვეყნის ამრევი, კომიტეტს წევრნი, ყუმბარების მკეთებელნი, ყალბის ფულის მომჭრელნი; ვინცა კვდება, სულ იმათი ბრალია, ისინი აგულიანებენ მკვლელებს და, თუ ისინი არ გააძვევთ, ქვეყანა არ დაწყნარდებაო, და სხვადასხვა. მახეზღრობენ და იმდენად უგუნურნი გახლავან, რომ ჰგონიან, - ამისთანა „გამეფებით“ მოისპობა უკმაყოფილება ხალხში, მშვიერი გამდება და ტიტველი შეიმოსება და იმათ აღარავინ დაჰსახავს თავის გაბეჩავების მიზეზად. აი, სადამდე მიდის დღეს ბოზობის უგუნურება!.. მე თვითონ ვიცი ერთი ამისთანა მაგალითი: ერთი სოფლის მასწავლებელი გახდა მსხვერპლი სწორედ ამისთანა სულმდაბლობისა და უმსგავსობისა. ამ მასწავლებელმა გაკიცხა გაზეთში მემამულენი, იმათი ყოფაქცევა. უკანასკნელთ შეურაცხყოფილად იგრძნეს თავიანთ თავი და საცა ჯერ იყო, გაჭიმეს კარგი გრძელი და მსუქანი „დანოსი“, რომელსაც მათთვის სასიამოვნო შედეგი მოჰყვა...

ვინც მიჰყავთ, ხომ მიჰყავთ, და ვინც აქ რჩება, იმათი ყოფა-მდგომარეობა სულ მთლად აუტანელია. იმათ „ეგზეკუცია“ უყენიანთ. გლეხებს, დაწიოკების გარდა, ასე აშნებენ და ამშვიდებენ, თუ არ წახვედით ამ საათში და მემამულეს მოსახნავი არ მოუხანით, დასაფარცხი არ დაუფარცხეთ, თქვენს ცოლებს კაზაკებს დაურიგებენო!.. აი, როგორ, რა საშუალებით სურთ მოარიგონ გლეხები და მემამულენი, - რა წამალს იძლევიან დღევანდელ გამწვავებულ მდგომარეობის საღებუნებლად... გლეხები ქედს იხრიან, ან რა ეთქმით, რას გახდებიან წინაშე ხმლისა და ხიშტისა, მაგრამ ახლა შიგ, ღრმად ჩაიხედეთ ხალხის გულში, - იქ რა ამბები ხდება, რა თესლი ითესება!.. ამის შემდეგ ან მემამულემ რა პირით უნდა იცხოვროს სოფლად და ან გლეხებს რა გული უნდა ჰქონდეთ იმაზე? ეს თქვენ განსაჯეთ და ის სახელი დაარქვით, როგორც მოუხდება და შეეფერება ხალხის ამისთანა დამშვიდებას. დღეს ქართლის ხოვრება მეტისმეტად ამღვრეულია მეზადურთა საღებუნად, სასიხარულოდ, ხოლო თევზების საუბედუროდ. როდის უნდა დაიწმინდოს ეს მღვრიე წყალი, ნუთუ ძალმომრეობის მეტი სხვა

საშუალება არ მოიპოვება? ნუთუ მხოლოდ მათრახია ერთადერთი წამალი, ამღვრეულის დამწმენდელი...

საკვირველი ის არის, რომ „ცირკულირება“ კარგი გამოდის. კითხულობ და ცოტაოდნად წყლულზე მალამო გედება, ვინაიდან ურჩევს იგი და აფრთხილებს მოხელეებს: ფრთხილად მოიქეცით, საქმის გაურჩევლად, გამოუძიებლად ნუ იჭერთ, ხალხს ნუ ატუსაღებთ, ნუ სჯითო; იარაღს, თუ საჭირო არაა, ნუ იხმარებთო და სხვა. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს ვეღარ კარგი, რომ ცირკულიარის ხმა მხოლოდ ქალაქებში გაისმის და ცხოვრებაში იმის ნატამალიც არ მოიძევება, იგი თითქოს არც კი სადმე არსებობდეს; რჩევა ცირკულიარისა რჩება ხმად მღალადებელისა უდაბნოსა შინა და ყველა ადმინისტრატორი ისე იქცევა, ვითარცა ხანი თვის სამფლობელოში... დიახ, სიტყვა სხვაა, საქმე - სხვა მათ შუა უზარმაზარი ჯურღმულია... არა, ტყუილად ვინმე მოელის ნდობის მოპოვებას იმ დრომდე, ვიდრე სიტყვასა და საქმის შორის არ დამყარდება სრული თანხმობა, - ვიდრე ადმინისტრაციის მოქმედება არ იქნება მიმართული ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ. ხალხი, მართლა ბრმა და ყრუ ხომ არ არის, ვერ იცნოს თავისი კეთილისმყოფელი, თავის მოყვარე და მტერი ერთმანეთში აურიოს...

არა, ნუ ჰგონიათ, უნდა ამოიძრონ თავიდან ეგ ფიქრი, რომ ხალხის მოტყუილება ადვილი მოსახერხებელი იყოს. შეიძლება ხალხი დროებით დაიმორჩილონ, მაგრამ ეს არ იქნება სამუდამოდ...